

## საგამოცდო ტესტის ნიმუში სამედიცინო ფიზიკაში

### 1. თერმოდინამიკური პროცესი შექცევადია, თუ:

- ა) სისტემის საწყის მდგომარეობაში გადასვლას არ სჭირდება გარედან დამატებითი ენერგიის დახარჯვა
- ბ) სისტემის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება ხორციელდება გარეგანი ენერგიის ხარჯზე
- გ) სისტემის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება სრულიად შეუძლებელია
- დ) სისტემის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება მოითხოვს ატფ-ის ენერგიას

### 2. სმენადობის ქვედა ზღვარი არის:

- ა) ბგერის მინიმალური ინტენსივობა, რომელსაც აღიქვამს ადამიანის სმენის ორგანო
- ბ) ბგერის მინიმალური სიხშირე, რომელსაც აღიქვამს ადამიანის სმენის ორგანო
- გ) ბგერის მაქსიმალური სიხშირე, რომელსაც აღიქვამს ადამიანის სმენის ორგანო
- დ) ინტენსივობის დონე 1 ბელი

### 3. რა უდევს საფუძვლად სითხიანი მანომეტრების მუშაობას?

- ა) არქიმედის პრინციპი.
- ბ) ზიარი ჭურჭლის პრინციპი.
- გ) ნიუტონის კანონი.
- დ) ბერნულის კანონი.

### 4. აირთა ტრანსპორტის ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს:

- ა) წნევის გრადიენტი.
- ბ) სიჩქარის გრადიენტი.
- გ) კონცენტრაციული გრადიენტი
- დ) ფილტრაციის მოვლენა.

### 5. გამტარის კუთრი წინაღობა დამოკიდებულია

- ა) გამტარის სიგრძეზე
- ბ) გამტარის გვარობაზე და ტემპერატურაზე
- გ) გამტარის კვეთის ფართობზე
- დ) გამტარის სიგრძეზე, გვარობაზე და კვეთის ფართობზე.